სახალხო გაზეთი

№ 555 ოთხშაბათი, 21 მარტი, 1912 წ. № 555

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-ღან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი

1912 წ. 1912 წ.

|სურათებიანი დამატება|

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) **მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იოსებ ივანეს ძე რატილი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულდამწვარი **ქვრივი მარიამ ვიაჩესლავის ასული, შვილნი და შვილიშვილნი.** გამოსვენება დღეს, 21 მარტს, განსვენებულის ბინიდან (ნემეცების ქუჩა № 1, სახლი სლივიცკისა) დილის 9½ საათზე, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში (შუა ბაზარში). დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. (1—307—1)

ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საპატიო წევრის

იოსებ ივანეს ძის რატილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია დღეს დილის 9½ საათზედ მიცვალებულის ბინიდან (ნემეცების ქუჩა სახლი სლივიცკისა № 1). დაკრძალვა კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე. (1.311.1)

წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილისა

გარდახდილ იქნება სოფ. მცხეთის საკათედრო ტაძარში (ხუთშაბათს 22 მარტს), ხოლო ძეგლის კურთხევა საგვარეულო სასაფლაოზე, ამავე ეკლესიის გალავანში, რასაც აუწყებენ გულითადის მწუხარებით **მეუღლე სოლომონ დავითის ძე გედევანიშვილი შვილებით, კნ. ნინო სოლომონის ასული დადიანისა და ელისაბედ დავითის ასული კვეზერელი-კოპაძე.** მატარებელი გადის დილ. 10 საათზე, დაბრუნდება ნაშუადღევის 2 საათს და 15 წუთზე. (1.310.1)

ნინო დიმიტრის ასული ბერელაშვილისა, სოფიო დიმიტრის ასული ფორაქაშვილისა, ზაქარია დიმიტრის ძე ჩიქოვანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 21 ამ თვეს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილის

სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. პანაშვიდის დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ძეგლის კურთხევა 22 ამ თვეს, ცხეთაში. (2—308—2)

დედა—**ნატალია ბეჟანის ასული,** ცოლი—**თამარა კონსტანტინეს ასული.** რძალი—**სოფიო ალექსის ასული** და ძმები **ვასილ და დავით გიორგის ძენი ნემსაძეები** უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმ პირთ და დაწესებულებას, რომლებმაც პირადად, დეპეშით თუ წერილობით ნუგეში სცეს მათ დიდ მწუხარებას

ნიკოლოზ გიორგის ძის ნემსაძის

უდროოდ დაკარგვის გამო. (1.312.1)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—534—181)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

✦ შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა ✦ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადრევ-მევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება. (20—1125—17)

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით: შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსნიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის):

Тифлисъ. Коргановская № 20, собст. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“.

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.37)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საყმაწვილო წიგნები:

„ან“, წერა-კითხვა, ალნიაშვილისა	10 კ.
ალი, ნ. ლომაურისა	10 „
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა	7 „
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშავ.-სი	15 „
ბუნების მოვლენანი, მესტიაშვილისა	15 „
„ვინ“, ხალხური წვრილი ამბავი, ალნიაშვილისა	20 “
გოგია მეჩანგურე, აკაკისა	5 „
გოგია უიშვილი. ე. ნინოშვ.	5 „
„დონ“, ხალხურ. წვ. ამბ. ალნიაშ.	10 „
„ენ“, გასართობი, ალნიაშვილისა	10 „
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, გოგებაშვილისა,	5 „
„ვინ“, პაწაწა მინერალოგია, ალნიაშვილისა	15 „
ზღაპრები, ქალების გამოცემა I დასურათებული,	1—25 „
ზღაპრები, ქალ. გამოც. II დას.	1—30 „
„თან“, პაწ. მინერალ. ალნიაშ.	20 „
იავნანამ რა ჰქმნა? ი. გოგებაშ.	5 „
თავდადებულ. ქართველნი, გოგ.	7 „
კუნწულა, მისივე	40 „
მამაცი მოგზაურები, ზღაპ. დას.	25 „
მურია, თ. რაზიკაშვილისა	5 „
მოსავლის მცველნი, ი. გოგებ.	20 „
მელიას თავ-გადასავალი	25 „
ნაცარქექია, აკაკისა	10 „
პალიასტომის ტბა, ნინოშ.	5 „
საძი ცელქი, შ. მღვიმელისა	15 „
სამშობლოს ბუნების სარკე, ი. ელიაშვილისა	40 „
სამი საყმაწვილო ამბავი, ვაჟა-ფშაველასი	15 „
საყმაწვილო მოთხრობანი, მისივე	30 „
სამი მოთხრობა, ს. ყიფიანისა	5 „
სურამის ციხე,	15 „
საყმაწვილო მოთხრობანი, ე. გაბაშვილისა	30 „
საყმაწვილო ლექსები, თომაშ.	10 „
შალვას თავგადასავალი, ცახელისა	15
ცხოველების გამჭრიახობა,	25 „
ქუთათელის სიზმარი, აკაკისა	5 „
ქონის შეგირდი,	5 „
მუნწი და ნატვრა, შ. მღვიმელისა	10 „

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება. **ადრესი** ტელეგრამისთვის: Тифлисъ Грамотность. (წ.—1141—11)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული ✦

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბილიარდი გოც ს.. საჭმელებს სახლებშიაც ვგზავნით თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—11)

სახალხო გაზეთის რედაქციაში

მიიღება ხელის მოწერა შემდეგ წიგნებზე.

1) ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა: „ბესიკ გაბაშვილის თხზულებაზე“ ფასი . . . . . 40 კაპ.
2) დ. უზნაძის ექსპერიმენტალურ პედაგოგიკის შესავალი“ ფასი 40 „
3) ჟურნალ კოოპერაციის გამოცემა: „გიბნერის კოოპერაციის სისტემა“ ფასი . . . . . 60 „

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—298)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. და 10 ცალი—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა „**ძმანი სეილანოვები**“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.2)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.118

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 262)

აგენტი ი. გ. მიქელაიშვილი

იღებს ხელის-მოწერას როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქალ. ჟურნალ-გაზეთობაზე, აგრეთვე სასტამბო საქმეებს; არის აგენტად განცხადებათა შესაკრებად სააქციონ. საზ. „ანონსი“-სა, რკინ. გზ. და სანავოსნო სადგურებზე და ტრამვაიებში პლაკატების გასაკრავად. პირადად იღებს ყოველ დღე, დილ. 8—9 ს. ადრესი: მიხეილ. პრ. № 5. (5.—76.1)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 133)

თელავში საჩქაროდ საჭიროა

დახელოვნებული ოსტატი **ლიმონადის ქარხანაში,** როგორც მანქანებზე მომუშავე ისე შეზავება ჩამოსხმაში. პირობების გაგება შეიძლება დეპეშით ან წერილით.

ქ. თელავი, ხითარა ხითაროვი. (2.1165.2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ. 1090 231)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—5).

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი“. (თ.—129—21).

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—62.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—122).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—23)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა
პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—52)

ექიმი კბილისა
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.74).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ი. ი. რატილის გარდაცვალების გამო.** ქართულ საფილარმონიო საზოგადოების საპატიო წევრის იოსებ ივანეს ძის რატილის გარდაცვალების გამო გამგეობამ დაადგინა: დაესწროს განსვენებულ მოღვაწის დასაფლავებას და გვირგვინით შეამკოს მისი კუბო.

✦ **დახმარება ნ. პ. ქოჩაევს.** ქალაქის საბჭომ 3,600 მან. ერთდროული დახმარება აღმოუჩინა ნ. პ. ქოჩაევს, რომელმაც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება.

✦ **„ნაძალადევის“ სცენის მოღვაწეთა წრის შუამდგომლობის** თანახმად, ქალაქის თვითმმართველობას თავის ხარჯით გაჰყავს წყალი ნაძალადევის სახალხო თეატრთან.

✦ **არქიტექტორების ადგილი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, სამსამის თვით ორი არქიტექტორი მიიწვიოს თვითეულს ჯამაგირად თვეში 25 მან. ექნება.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრად მ. ნ. ათაბეგოვი აირჩიეს.** ბ-ნი ათაბეგოვი ნაფიცი ვექილია და დღემდე ქალაქის თვითმმართველობის იურისკონსულტად იყო.

✦ სახელმწიფო სათათბიროს **დეპუტატები გეგეჭკორი და გაიდაროვი** ტფილისში დღეს ჩამოვლენ.

✦ **სახალხო სკოლების დირექტორმა** გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფლელთა განაჩენი გორის მაზრის სოფელ ბებნისში პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი** უკვე დბრუნდა პეტერბურგიდან, სადაც წასული იყო თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებაზე დასასწრებლად. კრებას დაუდგენია, რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეებზე გაიგზავნონ საგუბერნიო წინამძღოლნი სამ-სამის ასისენტით. ტფ. გუბერნიის ასისენტის არჩევა 27 მაისს მოხდება.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** სახალხო განათლების მინისტრმა კასომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, დღემდე სხვა და სხვა პირმა და დაწესებულებამ რამდენი შესწირა კავკასიის უნივერსიტეტს.

✦ **პოლკ. თ-დი მიქელაძე** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად დაამტკიცეს.

✦ **ტფ. საგლეხო ბანკის გამგე ა. ა. იაჩევსკი** ვიტებსკის საგლეხო ბანკის გამგედ დაინიშნა, ხოლო ვიტებსკის ბანკის გამგე პროტოპოპოვი ტფ. საგლეხო ბანკის გამგედ.

✦ **საუღელტეხილო რკინის გზის** გაყვანის საკითხი საბოლოოდ გადასწყდა: უმაღლესად ნაბრძანები იქმნა გზის გაყვანას შეუდგნენ.

✦ **ნამესტნიკის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ვ. ვ. სტრატონოვი** ფინანსთა სამინისტროში მეხუთე კლასის მოხელედ დაინიშნა.

✦ **ახალი გაზეთი.** გუშინ ნაფიცის ვექილის თანაშემწემ იაკობ ცინცაძემ (მწერალმა ია ეკალაძემ გუბერნატორს სთხოვა, ნება მისცეს მას, გამოსცეს გორში ყოველ-დღიური სახალხო გაზეთი სახელად „ქართლი“.

✦ **ლექციები ნაძალადევში.** ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა თეატრ „ნაძალადევში“ სხვა და სხვა ენაზე ლექციების სისტემატიურად მართვას აპირებს. ლექციებს დაერთობა სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილება. სალექციო დღეებს შეუფარდებენ ხალხის მოთხოვნილებასა და მდგომარეობას.

✦ **გოგოლის გარდაცვალების სამოცი წლის თავი.** ამავე თეატრში 27 მარტს მოქმედების დასაწყებად პირველად გოგოლის გარდაცვალების სამოცი წლის თავის აღსანიშნავად მისი სახელობის დილას გამართავენ. დილაში სამი განყოფილება იქნება: 1. ლექცია გოგოლის თაობაზე. 2. მის ნაწარმოებთა წაკითხვა ქართულად და რუსულად და 3. საკონცერტო განყოფილება.

✦ **უეცრად გარდაიცვალა** თამარინის ქუჩაზე მომავალი სპარსეთის ქვეშევრდომი დანიელ ვართანოვი, 52 წლისა.

✦ **იტალიელთა საზოგადოებამ** აღდგომის უქმეების გამო საქველმოქმედო საქმეებისთვის 250 მან. გადასდო.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის შეერთებულმა კრებამ დაადგინა, წინადადება მისცეს ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების გამგეობას, რათა საუნივერსიტეტო კომისიაში თავისი წარმომადგენელი აირჩიოს.

✦ ქველმოქმედთა საყურადღებოდ. ჩუღურეთში სცხოვრობს ყოვლად უმწეო ოჯახი: მედავითნე მორბედაძის ქვრივი ნინო თომას ასული წვრილშვილით. მას გუბერნატორმა ნება დართო გაზეთის საშუალებით მიჰმართოს ქველმოქმედთდახმარებისათვის. ყოველგვარი დახმარება უნდა გაეგზავნოს ამ მისამართით: ახალ-არსენალის ქუჩა, სახლი ქარ. სათავად-აზნაურო ბანკისა, № 29, ნინო მორბედაძეს.

✦ 18 მარტს მუშტაიდის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონიდან № 109 ჩამოცვივდნენ ლისანდრო ლაზარევი და პერიანდრას ვეზიროვი, რომელნიც მსუბუქად დაშავდნენ.

✦ 18 მარტს იუველიერნი მისახვევში ჩხუბი მოუვიდა ვასილ მესხიევს და ტიგრან სეირამიანცსა. უკანასკნელმა პირველი დანით მსუბუქად დასჭრა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების** წლიური კრება 18 მარტს მოხდა ა. ბ. მდივანის თავმჯდომარეობით. დამტკიცებულ იქმნა 1911 წლის ანგარიში, რომლიდანაც სხვათა შორის სჩანს, რომ საზოგადოებას საანგარიშო წელს წმინდა მოგება 10,226 მან. 25 კ. ჰქონია. დამტკიცებული იქმნა აგრეთვე მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 26,000 მან. მოგება ასე იქმნა განაწილებული: 150 მანეთი—„განათლების“ საზოგადოებას და ათ-ათი თუმანი: წერა-კითხვის საზოგადოებას, ეკ. გაბაშვილის ჭრა-კერვის სკოლას და სამეურნეო წიგნაკების გამომცემელს კომისიას. ბანკის მოსამსახურეთ მოგებიდან ორ-ორის თვის ჯამაგირი მიეცემათ. ბანკის დირექტორად კვლავ აირჩიეს ვ. რ. ყიფიანი; საბჭოს წევრებად: ა. ზ. ბერელაშვილი, სარევიზიო კომისიის წევრებად: ა. ფ. ჯვარიშეიშვილი; თავ. გ. ე. ბაგრატიონ-მუხრანსკი და დ. პ. ეპიტაშვილი.

✦ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** წლიური კრება 18 მარტს მოხდა გ. ი. მუსხელიშვილის თავჯდომარეობით. დამტკიცებულ იქმნა 1911 წლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას 1911 წელს შემოსავალი ჰქონია 6,044 მან. 73 კაპ. დახარჯულა—5,127 მან. 78 კ. 1912 წელს ვარაუდით შემოსავალი იქნება 5,390 მან., დაიხარჯება 4,960 მან. ხარჯთაღრიცხვაც დამტკიცებულ იქნება. გამგეობის თავჯდომარედ აირჩიეს: ვ. კ. კაზნაკოვი, მის ამხანაგად თ. ვ. ლისიცინი, ხოლო წევრებად: ნ. ვ. ანდრეევი, მ. ა.ბანდგოლცი და ვ. ა. ბელოი. სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ი. მუსხელიშვილი. კ. ლ. დუნდუკოვი და კ. ა. პეტრანოვიჩი. მათ კანდიდატებად: რ. პ. ფილიპიშანი და გ. მ. სანოვიჩი.

✦ ქალაქის საბჭოს კომისიის კრება დღეს მოხდება სპეციალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ ქალაქის საბჭოს **საუნივერსიტეტო** კომისიის კრება 23 მარტს მოხდება.

✦ **ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის** აგენტების კრება დღეს მოხდება ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად ახალქალაქში იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

ქალაქის საბჭო

19 მარტი.

კრება საღამოს 8½ საათზე იწყება. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი თავმჯდომარეობს.

გარეშე ხალხი ბევრია. ხმოსნებიც ბლომად არიან—71 კაცი (სულ 77 ხმოსანია). მიზეზი: უნდა აირჩიონ გამგეობის წევრი ნაცვლად ნ. პ. ქოჩაევისა, რომელმაც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება.

ქალაქის მოურავი საბჭოს აცნობებს ცნობილ დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცის გარდაცვალების ამბავს და მოკლედ ახასიათებს განსვენებულის მოღვაწეობას, რომლის შემდეგაც საბჭო ფეხზე ადგომით პატივსა სცემს განსვენებულის ხსოვნას. საბჭო ეთანხმება აგრეთვე გამგეობის წინადადებას: განსვენებულის დასაფლავებას დაესწროს, მისი სახელობის სტიპენდია დაარსოს და მისივე სახელი უწოდოს ერთს-ერთს საქალაქო სასწავლებელს.

საკითხი იმის შესახებ, რომ ნ. პ. ქოჩაევს, რომელიც ქალაქის თვითმართველობას 10 წელიწადს ემსახურა, დახმარება მიეცეს, კამათს არ იწვევს. გამგეობა საბჭოს წინადადებას აძლევს, მისცეს ბ-ნ ქოჩაევს ერთდროულ დახმარებად ერთის წლის ჯამაგირი—3,600 მან. საბჭო ამ წინადადებას ერთხმად ეთანხმება.

საბჭო ეთანხმება გამგეობას იმაშიაც, რომ შადინოვის მიერ დატოვებული ფული კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ 4% რენტად აქციოს და სახელმწიფო ბანკში შეინახოს.

საბჭო ნებას აძლევს გამგეობას, სამ-სამის თვით მოიწვიოს ორი არქიტექტორი თვეში 125 მან. ჯამაგირით ნაცვლად ქალაქის სამის არქიტექტორისა, რომელნიც ამ ჟამად ავად არიან.

კამათს არ იწვევს აგრეთვე შუამდგომლო „ნაძალადევი“-ს სცენის მოღვაწეთა წრისა, რომელიც თხოულობს, ქალაქმა თავის ხარჯით გაიყვანოს წყალი ახლად აშენებულ თეატრთან. საბჭო თანხმდება, ხარჯის (360 მან.) გაღება ქალაქმა იკისროს.

რიგი მიდის გამგეობის წევრის არჩევამდე.

გამგეობის გადამდგარს წევრს ნ. პ. ქოჩაევს წელიწადში 3,600 მან. ეძლეოდა ჯამაგირად. საბჭო აღგენს მომავალს წევრს 4.000 მან. დაუნიშნოს. საბჭო ამასთანავე სურვილს გამოსთქვამს ამდენივე ჯამაგირი მიეცეს გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულსაც, რომელსაც ძველად განსაზღვრული ჯამაგირი (3,600 მან.) ეძლევა. გამგეობა ა. ი. ხატისოვის პირით საბჭოს ჰპირდება, წარმოუდგინოს მომავალ კრებაზე მოხსენება ამ საგნის თაობაზე.

გამგეობის წევრებად კანდიდატებს ბარათებით ასახელებენ: ქალაქის იურისკონსულტს მ. ნ. ათაბეგოვს (35 ბარათით), ქალაქის მდივანს მ. ა. ჯაბარს (25), ს. თ. ჭრელაშვილს (7) ა. რ. ფიშერს (4).

ყუთს იდგამენ მ. ათაბეგოვი და მ. ჯაბარი. დანარჩენები უარს ამბობენ.

მ. ნ. ათაბეგოვი იღებს 46 თეთრსა და 25 შავს კენჭსა, ხოლო მ. ა. ჯაბარი 33 თეთრსა და 38 შავსა.

ამ რიგად გამგეობის წევრად ქალაქის იურისკონსულტს მ. ნ. ათაბეგოვს ირჩევენ.

საბჭო ამტკიცებს გამგეობის დადგენილებას იმის შესახებ, რომ თორნეში გამომცხვარ 1 და 2 ხარისხის პურს გირვანქაზე ნახევარ კაპეიკი დაეკლოს.

განგრძლივ კამათის შემდეგ საბჭო ამტკიცებს მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალოებულო დადგენილების პროექტს, რომელიც შარშან ქალაქის საბჭომ შეადგინა და საბოლოოდ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ შეასწორა.

შეტაკება ყაჩაღთა და პოლიციელთა შორის და ორის ყაჩაღის მოკვლა

10 მარტს ტფ. მაზრის უფროსმა დუშეთის მაზრის უფროსისაგან დეპეშით ცნობა მიიღო: ყაჩაღთა ბრბო, რიცხვით 13—14 კაცი, ზალიკო სიმონიშვილის მეთაურობით დუშეთის მაზრიდან ტფილისისაში ტყე-ტყე წამოვიდა და განზრახვა აქვს, მოჰკლას უფროსი დარაჯი ალექსანდრე ბეკაშვილი, როგორც უმთავრესი მიზეზი მათის ამხანაგის ნიკა კასრაძის მოკვლისაო.

ტფ. მაზრის უფროსმა თავ. ი. ლ. ჯანდიერმა დაუყოვნებლივ ზომები მიიღო: ერთის გზით გაჰგზავნა ხუთი დარაჯი თვით ალექსანდრე ბეკაშვილის მეთაურობით, ხოლო თვითონ 12 დარაჯით მეორე გზით გაემართა. გზაზე თავის რაზმიდან ხუთი დარაჯი გამოჰყო და ბიზანაშვილის მეთაურობით სხვა გზით გაჰგზავნა. ბეკაშვილი სოფ. საგარეჯოსაკენ გაემართა და თითქმის ერთი ვერსტი გაიარა ტყე-ტყე და „ცივის“ მიდამოებში შეამჩნია ერთი ყაჩაღთაგანი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ჰყარაულობდა თავის ამხანაგებს, რომელნიც ტყეში საუზმობდნენ. ბეკაშვილმა მოდარაჯე ყარაულს მეორე მხრიდან მოუარა, ორჯელ ესროლა თოფი და იქვე მოჰკლა. ტყეში მყოფი ყაჩაღები ამ მოულოდნელობით უცებ დაიბნენ, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდნენ და სროლა დაიწყეს იმ მხრისკენ, საიდანაც თოფის ხმა მოესმათ. ორსავე მხარიდან ასტყდა სროლა, რომლის დროსაც ორი ყაჩაღი დაიჭრა. სროლის ხმაზე ბიზანაშვილიც მოიჭრა თავის რაზმით და ყაჩაღებს იმანაც სროლა აუტეხა. რაკი ყაჩაღებმა დაჰხედეს, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდათ, გაიქცნენ და თან წაიყვანეს მსუბუქად დაჭრილი ერთი ამხანაგი, ხოლო მეორე-იქვე დასტოვეს. დარაჯებმა ყაჩაღთა დევნა განაგრძეს, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც დაღამდა და ნისლის გამო აღარა სჩანდა რა.

ადგილობრივ დარჩენილი მძიმედ დაჭრილი ყაჩაღი ჩქარა გარდაიცვალა. სიკვდილის წინად თქმა მოასწრო, დუშეთის მაზრის სოფელ წილკნის მცხოვრები დავით ალექსიშვილი ვარო. მეორე მოკლული ყაჩაღის ვინაობა გამოურკვეველი დარჩა.

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა

(დიდი ჯიხაიში). 11 მარტს მოხდა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის კრება. კრებას უნდა განეხილა როგორც ამხანაგობის, ისე საზოგადო ქსენონ აფთიაქის შემოსავალ-გასავალი და აერჩია რამდენიმე თანამდებობის პირი. კრებას თავიდანვე მღელვარება ეტყობოდა—ის, როგორც მოსალოდნელია ასეთ შემთხვევებში, პარტიებათ იყო ჩამოყალიბებული; თავის დაუზოგველად სცდილობდნენ ამა თუ იმ პირისთვის ეს თუ ის ადგილი მიესაკუთრებიათ, მიუხედავად იმისა სასარგებლონი იქნებიან ისინი საქმისთვის თუ არა. ასე ექნა ქსენონ-აფთიაქის მტრებსაც! მოითხოვდნენ აფთიაქის იჯარით გაცემას; იქვე იდგნენ მოიჯარადრენი, მაგრამ ქსენონ-აფთიაქის ანგარიშების განხილვა, გადაიდო შემდეგისთვის.

ბანკის შემოსავალ-გასავალი დამტკიცებულ იქმნა. თითეულ წევრს ერგო (პაი 50 მან) მოგება ხუთ მანეთ ნახევარი, რომლის დარიგება უკლებლივ მოითხოვა კრებამ. ბევრი ელაპარაკეს, რომ ათ პროცენტზე, ე. ი. იმაზე მეტის წაღება, რასაც თვითონ იხდიან სესხში, ჩარჩობაა, არც წესდება იძლევა ამის ნებას, ზედმეტი ათი შაური გადადეთ საქველმოქმედოდაო, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. არც იმან გასჭრა, რომ მეზობელმა სოფელმა, გოჩა-ჯიხაიშმა, წინა დღით საქველმოქმედო თანხიდან 15 მან. გადასდო დიდი-ჯიხაიშლების — სკოლის შენობისათვის. არ დაუჯერეს არაფერი არც ბათუმის ბანკის წარმომადგენელს ბ. მიქელაძეს, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ამ კრებაზე დასასწრებლად. ის შეეცადა დაერწმუნებინა კრება, რომ წვრილი კრედიტის ამხანაგობა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე უმჯობესია და ურჩევდა კრებას არსებულ ამხანაგობის გადაკეთებას, მაგრამ არავინ დაუჯერა. ამ შემთხვევაში კრება კარგად მოიქცა. (თუ რა განსხვავებაა ამ ორ ამხანაგობათა შორის, ამაზე შემდეგ) ბ. მიქელაძემ მეზობელ სოფლებში თავის მიზანს მიაღწია.

ექიმმა ლოსაბერიძემ მარტივად აუხსნა ხალხს, თუ სად წავიდა აფთიაქის მოგება (დაიხარჯა ქსენონზე) და ის სისწორით დაუსურათა კრებას მოიჯარადრენის და მათი აგენტების სულისკვეთება.

დამსწრე.

გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანცი

(ჰამმალ).

განისვენა სომხურ-ქართულ სცენის ნიჭიერმა დრამატურგმა.

ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან

VII

განათლების ეპოქა და სოფისტები.

7.

განათლების ეპოქა და სოფისტები.

მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარი უბრწყინვალესი ხანაა მთელი საბერძნეთის და კერძოდ ათინას ისტორიაში. ამ ხანას წინასწარმა კულტურულმა განვითარებამ მდიდარი მემკვიდრეობა უანდერძა. ფილოსოფიურს სფეროში იმ მიმართულებამ, კოსმოლოგიურ პრობლემების გადაწყვეტას რომ სცდილობდა, დაამთავრა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაზისი თავისი განვითარებისა. ფეხი აიდგა პოზიტივურმა მეცნიერებამაც, ხოლო მათემატიკამ, რომელიც თავდაპირველად ექსპერიმენტალურ, ემპირიულ მეთოდით ხელმძღვანელობდა, რამოდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ და ევკლიდის გეომეტრიისათვის ნიადაგი მოამზადა. ისტორიულს მეცნიერებაში ჰეკატეოსმა და ჰეროდოტმა სცადეს ზღაპრის და სინამდვილის, „თხზულების“ და „ჭეშმარიტების“ გათიშვა და ამგვარად თუკიდიდესის ფსიხოლოგიურს მეთოდს გზა გაუკვლიეს. და ბოლოს დიდმა ჰიპოკრატმა (460—377 წ.) და ექიმთა ემპირიულმა სკოლამ მედიცინური პრაქტიკა ფილოსოფიურ სპეკულაციის მზრუნველობისაგან გაანთავისუფლეს და ხელოსნობად („ტეხნე“) აღიარეს; ამ ხელოსნობას კი თეორეტიულს საძირკვლად სერიოზული ფიზიოლოგიური და ანატომიური გამოკვლევანი დაუდეს, განსაკუთრებით ტვინის და ნერვების სფეროდან.

გარეშე მტრის მიერ მოვლენილმა საფრთხემ დროებით მთელი საბერძნეთი შეაკავშირა და აამოძრავა. სპარსელებთან ბრძოლაში გამოაშკარავდა ბერძნების ეროვნული შეგნება, მათი ენერგია, მათი კულტურული უაღრესობა აზიელების წინაშე. ამ ომში მოწინავე ადგილი ათინას ეჭირა და ამიტომ გამარჯვების ნაყოფიც უწინარეს ყოვლისა მას ჰხვდა წილად. ათინა სათავეში მოექცა იონელ ქალაქების კავშირს და ამ ჰეგემონიამ მას პოლიტიკური გავლენა და მატერიალური სიმდიდრე მოუტანა.

ბრძენი და ნიჭიერი ხელმძღვანელის წყალობით ამ გარეგნულს ბრწყინვალებას შინაგანი, კულტურული აყვავება დაერთო. პერიკლესი ეჭვი არ არის, ერთი უდიდესთაგანია იმ დიდ-ბუნებოვან ადამიანთა შორის, რომელთაც ოდესმე სამშობლოს საკეთილდღეოდ უმოღვაწნიათ. მის ცნობილს სიტყვაში, ფუკიდიდესმა რომ გადმოგვცა, ნათლად სჩანს ის ამაღლებული იდეალები, რომელთა განხორციელებას ის ეპოქა სცდილობდა. „ჩვენ ვეძიებთ მშვენიერებას შეერთებულს უბრალოებასთან, ამბობს პერიკლესი, ჩვენ ვეძიებთ შემეცნების შეერთებულს მოქმედების ძალასთან. სიმდიდრეს ჩვენ მიზანშეწონილი შემოქმედებისთვის ვხმარობთ და არა საკვეხნად და გამოსაფენად. ჩვენ სამარცხვინოდ მიგვაჩნია არა ხელმოკლეობის აღიარება, არამედ შიში იმ შრომისადმი, რომელიც ადამიანს ხელმოკლეობისგან ანთავისუფლებს. ჩვენ მოვუწოდებთ ერთ და იმავე პირთ დააკმაყოფილონ როგორც სახელმწიფო ინტერესები ისე თავისი კერძო საქმეები!. და თვით იმათ, რომელნიც რაიმე ხელოსნობას მისდევენ, საკმაო ასპარეზი ეძლევათ საზოგადო მოღვაწეობისათვის; მიტომ რომ ყველას, ვინც ამ უკანასკნელისათვის თავს არ იწუხებს, ჩვენ საზოგადოების უსარგებლო წევრად ვსთვლით... როგორც ათინა თავისი სისრულით გასანათლებელს ადგილს წარმოადგენს მთელი ელლადისათვის, ისე თვითეული ჩვენგანი მწიფდება ყოველმხრივი მოქმედებისათვის, რომელიც მშვენიერებასთან არის შეკავშირებული და ამგვარად ერთს მთლიანს, დამთავრებულს პიროვნებად ჰხდება“.

ეს სიტყვები უკომენტარიოდაც საკმაოდ მჭერმეტყველნი არიან. ისინი ნათელსჰყოფენ იმ გარემოებას, რომ პერიკლესის თანამედროვენი უკვე სამარცხვინოდ აღარ სთვლიდნენ ხელოსნის შრომას და გარჯას საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოებლად. მაგრამ ყველაზედ მეტად ისინი წინანდებურად მაინც სახელმწიფო მოღვაწეობას აფასებდნენ. კერძო მეურნეობის საწარმოებლად მონები არსებობენ, მატერიალურს კეთილდღეობას უზრუნველჰყოფს ის ყოველწლიური ხარკი, ახალშენები და მოკავშირეები რომ იძლევიან: თავისუფალს მოქალაქეს ის შეჰშვენის, რომ თავისი ნიჭი, ცოდნა და დრო საზოგადო საქმეებს მოახმაროს. ამისთვის განათლებაა საჭირო: მარტო წერა-კითხვის, ანგარიშის, მუსიკის და გიმნასტიკის ცოდნა, საყოველთაო სკოლები რომ იძლეოდნენ საკმაო აღარ არის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქისთვის, რომელიც ჰლამობს ყოველს პოლიტიკურს და მეცნიერულს საკითხზე თავისი საკუთარი მსჯელობა იქონიოს.

ამ საყოველთაო ლტოლვას განათლებისადმი წინ სოფისტები შეეგებნენ. ისინი შეეცადნენ საზოგადო კუთვნილებად გაეხადათ ის, რაც წინა საუკუნეების ფილოსოფიურმა სპეკულაციამ მხოლოდ რამდენიმე არჩეულთა და მოწოდებულთათვის შეიმუშავა.

სოფისტები სიბრძნის მასწავლებელნი იყვნენ. ჩვენ დღევანდელს პროფესორებს ისინი იმით ჰგავდნენ, რომ ამ უკანასკნელისათვის უწინარეს ყოვლისა ახალგაზდობას ამზადებდნენ ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად და თავის გასამრჯელოდ ჰონორარს ჰღებულობდნენ. მაგრამ მათი აუდიტორია უფრო ფართო იყო ვიდრე დღევანდელი უნივერსიტეტის აუდიტორიაა. სოფისტები პოპულიარულის ენით ხშირად მთელს იმ მასსას ესაუბრებოდნენ, ქალაქის მოედანზე და ქუჩებში რომ თავს იყრის. ამიტომ გასაკვირელი არაა, რომ მათს მოძღვრებას განსაზღვრული დროების ბეჭედი უფრო ატყვია, ვიდრე სხვა რომელიმე ეპოქისა და სკოლის ფილოსოფიას. ვინც ქუჩისთვის აზროვნობს, ის ვერ გაექცევა ქუჩის ზედგავლენას. და მართლაც სოფისტურს ფილოსოფიაში ისტორიული კოლორიცი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე იმ ღრმა მეტაფიზიკურს და ნატურფილოსოფიურს რეფლექსიაში, რომელიც მარადისობის განსჭვრეტას ჰლამობს და მარადისობისათვის ჰქმნის. ის ინდივიდუალისტური ლტოლვა, ის სკეპტიციზმი და ერიტიციზმი, სოფისტებს რომ ახასიათებს, მთელი ეპოქის გამოხმაურებაა. აგრეთვე კოსმოლოგიური პრობლემის ჩაჩქმალვა და ანტროპოლოგიური საკითხის წინ წამოყენება.

სოფისტები მოარული ოსტატები იყვნენ და თავის მჭერმეტყველებით, თავისი მწერლობით ახალგაზდობას აძლევდნენ დ აღფრთოვანებდნენ. ისინი არა ჰგავდნენ იმ კვლევა ძიებით გატაცებულს მეცნიერებს, ოთხ კედელს შუა რომ ჰბერდებიან განყენებულ ამოცანების გადაწყვეტაში. ისინი ამ მხრივ ღვიძლნი შვილნი იყვნენ იმ მოძრავი და ნაყოფიერი ეპოქისა, რომელმაც მათ მკერდზე სოფოკლის და ევრიპიდის ტრაგედია შეჰქმნა, არისტოფანის კომედია და ფიდიასის პლასტიკა. ამ ქმნილებებში კულტურის არაჩვეულებრივი ზრდა და მომწიფება გამოიხატა. ფილოსოფიური აზროვნების წინაშე კულტურა აიმართა როგორც ერთი დიდ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არა ნაკლებ საყურადღებოა ვიდრე გარეშე ბუნების საიდუმლოებანი. კაცობრიობა და მისი კულტურა, ადამიანები და მისი ზნეობრივი დანიშნულება, პიროვნება და მის პოლიტიკური, უფლებრივი მდგომარეობაი ამ საკითხების წრე, რომელშიაც ტრიალებს სოფისტური ფილოსოფია. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ ფილოსოფიამ ბერძნების ისტორიაში დაიწყო ახალი, ანტროპოლოგიური ხანა, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველი, კოსმოლოგიური ხანისაგან.

თუ დღეს სიტყვა სოფისტს უარყოფითი, დამამცირებელი ელფერი აქვს, ამაში ბევრი გარემოებაა დამნაშავე. თვით სოფისტების ნაწერებისაგან შთამამავლობას თითქმის არაფერი დარჩა. საუკუნეთა განმავლობაში მათზე წარმოდგენას იმ სურათის შემწეობით ადგენდნენ, მათმა მოწინააღმდეგებმა, განსაკუთრებით პლატონმა რომ დახატა. ეს სურათი კი სოფისტების კარიკატურაა და ნამდვილი სახე. პლატონის ულმობელი, გამანადგურებელი ირონია და კრიტიკა თავისთავად საკმაო იქნებოდა მათი მნიშვნელობის დასაქვეითებლად მომავალ თაობათა მხედველობაში. მაგამას ზედ კიდევ სხვა გარემოებანი დაერთო. სოფისტები ჰონორარს ჰღებულობდნენ: თანამედროვეთა თვალში ეს გარემოება მათ ართმევდა თავისუფალ პროფესიის ხასიათს და ხელოსნობის ელფერს აძლევდა. თავისუფალმა ბერძენმა ჭეშმარიტება ჭეშმარიტების გულისთვის უნდა ეძიოს, მშვენიერება მშვენიერების გულისთვის შექმნას. ბერძნებს ეს შეხედულება იმდენად ჰქონდათ შესისხლხორცებული, რომ იზოკრატესმა სიმწარის და სირცხვილის

ალარა გვყავს თანამედროვე მევახშეთა ნიღაბის ამხდელი და, დაუძინებელი მტერი.

საუკუნოებას მიეცა ყველასაგან საყვარელი გაბრიელ სუნდუკიანცი—ჰამმალი, ანუ როგორც მათ შთამომავლობას უწოდებდნენ ტფილისში: მეზანდუკეანთ გაბო.

ალარასცემს გული დიდი ჯენტლემენისა, ფრიად ზრდილობიან ადამიანისა, რომელმაც, თუმცა ფსევდონიმად **ჰამმალი** (მეკურტნე მუშა) ამოირჩია, მაგრამ მიხვრა-მოხვრით, სიტყვა-პასუხით არისტოკრატი იყო.

დაობლდა განსაკუთრებით სომხური დრამატიული ლიტერატურა, რადგან მან დაჰკარგა თვისი უდიდესი დრამატურგი, სომხურ ლიტერატურის ვეტერანი.

საუკუნოდ განისვენა „პეპოს“, „დაქცეულ ოჯახის“, „ხათაბალას“ და სხვა მრავალ პიესების ავტორმა.

ვიღამ უნდა დაგვიხატოს ფოტოგრაფიულის სინამდვილით თუმცა დაჩაგრული, მაგრამ უხინდისობის, უსამართლობის წინააღმდეგ მთელის არსებით პროტესტის გამომცხადებელი **პეპოს, ოსეფას** და ამგვარი სხვა მრავალი ტიპები.

ვიღამ უნდა თავის მძლავრ კალმით კუთხეებში შეაძვრინოს ულმერთო მჩაგვრელი მევახშეები.

ვიღამ უნდა გაჰკიცხოს ჩვენი თანამედროვე ცხოვრების გადაგვარებული მოვლენანი.

როდესაც გავიგე მისი სიკვდილის ამბავი, ჩემს ყურებს არ დაუჯერე, ვინაიდან ჯერ სიკვდილიდან ორი დღის წინად, ესე იგი ხუთშაბათს, მარტის 15-ს, განსვენებულმა თავის მოახლის პირით მიმიწვია სახლში და მრავალის ბოდიშის შემდეგ შეწუხებისათვის, მომმართა:

„მრავალჯერ უკაცრაოდ, რომ გაგსარჯე, შვილო; ჩვენი ქართულის მცოდნე შენა ხარ და შენ უფრო კარგად იცი, თუ ვის, ანუ რომელ რედაქციებს უნდა გაუგზავნო ეს ჩემი ახალი წიგნი*). მე ყველას სახელები არ ვიცი. ხომ იცი, სიბერემ ყველაფერს ჩამომარჩინა. გარდა ამისა, ხელებიც მიკანკალებს და ყველას ვერ დავწერ. თქვენ სახელები წააწერეთ, მე კი ქვეშ ხელს მოვაწერო“.

რა თქმა უნდა, მაშინვე შეუსრულე თხოვნა. დამლოცა და ხანგრძლივი სიცოცხლე მისურვა და გასტუმრების დროს მითხრა: „იცოცხლე, ჩემოდენამდე მოგყაროს ღმერთმაო“.

რას გავიფიქრებდი თუ მასთან ჩემი ყოფნა და ბაასი უკანასკნელი იქნებოდა და მის ლამაზ, თავაზიან და ზრდილობიან სიტყვა პასუხს ველარ მოვისმენდი.

სომხურ საყმაწვილო ჟურნალ „აღბიურის“ წარსულ წლის დეკემბრის ნომერში მოთავსებული მქონდა ერთი მოთხრობა სომხურ ენის ტფილისის დიალექტზე დაწერილი, რომელიც ვუძღვენ აწ განსვენებულ გაბრიელ სუნდუკიანცს. მიიღო თუ არა, მაშინვე მოვიდა ჩემთან, მადლობა გადამიხადა, ერთი რაღაცა ქაღალდი ამოიღო და მითხრა:

— „კარგაა დაწერილი შენი მოთხრობა, მაგრამ რამდენიმე სტილიური შეცდომები აღმოვაჩინე ტფილისის დიალექტშიო. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ახლაც ჩვენ, ტფილისის სომხები ამ დიალექტზე ვლაპარაკობდეთ, ესეც არ იქნებოდით და თუ არ გეწყინება მე ჩემ შეცდომებს გაგისწორებო. რა თქმა უნდა, რომ მე ვსთხოვე, რათა ეჩვენებინა შეცდომანი, თუმცა ეს შეცდომები ჩემი კი არ იყო, არამედ ასოთ ამწყობებისა, რომლებმაც არ იციან ტფილისის დიალექტი. ესე მომიყვა და ცხრამდე შეცდომებზე მიმითითა. დიდის მადლობით გავისტუმრე.

განსვენებული როგორც ორიგინალური ადამიანი იყო, ორიგინალური ანდერძიც დასტოვა სომხურ გაზ. „მშაკის“ რედაქციის მიმართ, რომელიც დაწერილია წარსულ 1911 წ. აგვისტოს 11-ს დაბა ბორჯომში, სომხურ ენის ტფილისის დიალექტზე და მოთავსებულია გაზ. „მშაკის“ მე 59-ე ნომერში. შეძლებისა დაგვარად „სახალხო გაზეთის“ მკითხველებს გავაცნობთ მის შინაარსთან:

გაზ. „მშაკის“ რედაქციას. უმორჩილესათა გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს ანდერძს ჩემის სიკვდილის შემდეგ მაშინვე და ნება მისცეთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ თუ მოისურვებენ.

უღრმეს პატივის ცემით გაბრიელ სუნდუკიანც—ჰამმალ 15 აგვისტოს, 1911 წ. ბორჯომი.

ჩემი სიკვდილი და დაკრძალვა.

მშვიდობით, მე წავედი, წავედი იმისთანა ალაგას, საიდანაც, რაც ქვეყანა არსებობს, არავინ არ დაბრუნებულა.

თქვენ კარგად იყავით, დიდი დღე გქონდეთ, ჯანსაღი იყავით, გულით მხიარული, სულით წყნარი.

თუ ვისმესათვის რაიმე დამიშავებია, ვთხოვ მაპატიოს: ვისაც ჩემთვის დაუშავებია რამ და ჩემი გული დაუდაგავს, მეც ვაპატიებ წმინდის გულით: სინდისმა არა ჰქენჯნოს არასოდეს მისი გული. ჩემი დაკრძალვის დროს არავითარი სამზადისი საჭირო არ არის. სახლის ავეჯეულობას ხელი არ ახლოთ, ჩემს სამუშაო და საწოლ ოთახებისა, სადაც ჩემი საუკუნო ძილის ლოგინი უნდა მოამზადოთ. დანარჩენი ოთახები ისევე დასტოვეთ, როგორც არის, ვიდრე მე დამმარხავენ; მერე კი თქვენ იცით.

შავები არც ერთ ოთახში არ იყოს და თქვენც, ჩემო აზიზო სოფიოჯან და გულით საყვარელო შვილებო და შვილის შვილებო (Chére Hèlène), თუ რომ სრულებით შავებს არ ჩაიცვამთ, ძლიერ კარგს იზამთ.

ვენოკები (გვირგვინი) ერთიც არ იყოს, არც სახლში, არც კარში, არც თქვენ შეუკვეთოთ, არც სხვისაგან მიიღოთ; ადრევე შეატყობინეთ, რომ არავის არ ეწყინოს.

კუბოში ჩამაწვინეთ შავი სიურთუკით და ტყავის თეთრი ქუდით.

ჩემ დაკრძალვამდე, სახლში არავითარი პანაშვიდები არ გადაიხადოთ; ჩემი სახლის მღვდელიც საკმარისია, რომ მომსვლელთათვის „მამაო ჩვენო“ სთქვას, როგორც ადრე მიღებული იყო. და თუ მორეულებს და უცხოებს არ ეწყინებათ, ნუ მოვლენ ყოველ წამს და ჩემი მეუღლესა და შვილებს ნუ ატირებენ ხელახლად.

მათგან ვისაც ჰსურს თავის სიმწუხარე განაცხადოს ჩემ სიკვდილის გამო, დეე თავის სადარბაზო ბარათი დასტოვოს შესავალში ანუ იქავე დავთარში თავის სახელი და გვარი ჩასწეროს, როგორც მიღებულია განათლებულ ქვეყნებში.

დამავიწყდა თავის ადგილას მეთქვა, რომ გაზეთები არ გაავსოთ მრავალი და მახინჯი განცხადებებით და უადგილო სიტყვებით, ვინ არ იცის, რომ ყველასათვის ვისაც მე უყვარდი, ძლიერ საყვარელი და ძვირფასი ვიყავი. ამასთანავე ამ სიტყვებს მრავალნი წაბაძულობით დიდ მწარე, ძლიერ სიტყვებით განაცხადებენ ხოლმე.

მახლას!

ჩემი სიკვდილის განცხადება დასწერეთ უბრალოდ და ჩემს ხარისხს ნუ გამოაცხადებთ.

„გაბრიელ სუნდუკიანც-ჰამმალი—გარდაიცვალა (დრო). დაკრძალვა მოხდება (დღე) დილის (საათი) გასვენება განსვენებულის ბინიდან და სხვა“.

ჩემ დამარხვის დღეს მხოლოდ ერთი მღვდელი, ჩემი სახლის ხუცესი, გამიძღვეს წინ და ერთიც დიაკვანი. სხვა სამღვდელოება არ შეაწუხოთ და არ მოიწვიოთ.

ჩემი ნამსახურობის ჯვრები და ჩინები არც ბალიშებზე და არც უბალიშოთ სრულებით არ იყოს.

ჩემს წინ მსვლელმა მღვდელმა და დიაკვანმა უჩუმრად მიმასვენონ სახლიდან ეკლესიაში და ეკლესიიდან საფლავამდე; გზაზე არავითარი გალობა და ლოცვა არ იყოს.

ძვირფასო, სოფოჯან, და ძვირფასო შვილებო, თქვენ ყოველთვის ჭკვიანი ყოფილხართ: თქვენ იცით, როგორც გულს გაიმაგრებთ ჩემ გაცილების დროს.

ბალდახინი და ცერემონიები სრულებით არ იყოს: მეტადრე ცხენების თავზე ის ბუმბულის თაიგულები არამც და არამც არ იყოს, რომელსაც მე ჰქინაზე მოვყავდი. რვა მუშა და რვა კინტო მოიწვიეთ, რიგ-რიგად ჩიტივით გამაფრენენ. იქნება მათ შორის პეპოც აღმოჩნდეს; ეს ჩემ „პეპოსათვის“ დიდი პატივისცემა იქნება. დამმარხეთ, სადაც გსურთ. მე ვისურვებდი დედა-ჩემთან, მაგრამ იქ ადგილი არ არის. ამასთან დაკრძალულ ჩემს ბავშვების სამარეს არ შეეხოთ. ჩემს საფლავზე არავითარი ძეგლი არა არის საჭირო; ერთი დიდი ლოდი და ჩემი ჯანი.

ზედ ასე დააწერინეთ:

გაბრიელ სუნდუკიანცი—ჰამმალ.

დაიბადა 1825 წ. 29 ივნისს,

გარდაიცვალა 191... წ...ს.

თუ გულით გსურთ ჩემზე ძეგლის დადგმა და ამის ღირსი ვარ, ეს ძეგლი ჩემს მაგიერ „პეპოს“ დაუდგით, სადაც მოსახდენი იქნება. მთელის სხეულით იდგეს კვარცხლბეკზე თავის ტანთსაცმელით, ქუდდახურული, ერთ ხელში არუთინას ბარათი, მეორე ხელით ბარათზე დაწერილს უჩვენებდეს, რომელიც (არუთინა) ქუდ მოხდილი და სერთუკით პირმავად გვერდით ედგეს.

ქვეშ წარწერილი იყოს მხოლოდ ეს სიტყვები:

პეპო.

„ეს მაგ მოსატეხ ხელით არ დაგიწერია?“

ძეგლი და კვარცხლბეკი თუჯისა იყოს ჩამოსხმული; ზედ არც ერთ ალაგას ჩემი სახელი ნახსენები არ იყოს. ჩემი სურვილი ის არის მხოლოდ, რომ ყველას გულში და გონებაში დღე და ღამ გამაგრდეს ის აზრი, რომ სიტყვიდან გადადგომა (ჰაშაქარობა) დიდად სასირცხვილო რამაა ადამიანისათვის და ვინც თავის ვალს არ იკისრებს, თავის მიერ მიცემულ სიტყვას არ შეასრულებს, თავის ხელმოწერილ ბარათზე უარს იტყვის, იგი კაცი არ არის, რაც უნდა მაღლა იდგეს კაცთა შორის.

ეხლა შეუდგეთ ჩემ ნათქვამების შესრულებას.

პეპოს ძეგლის დადგმა ჯერ ძლიერ შორს არის; ამისათვის ახლავე არავინ შესწუხდეთ და უბრალოდ დრო არ დაჰკარგოთ. ჩემს დაკრძალვას, რაც ხალხი მოუნდეს, ჩემი ვალია, ამის შესახებ ჩემი მეუღლე და შვილები იზრუნებენ იმ პაწია ქონებიდან, რასაც ვსტოვებ მათთვის.

ქელეხ-მელეხი სრულებით საჭირო არ არის; იმ დღის საწყლების სადილის ფული მიეცეს სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას მათთვის დასარიგებლად.

დარჩა ჩემი დამარხვის წეს-რიგის შესრულება. ყველა ეს გადახდილ იქმნეს ისე, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ.

ამისათვის განსაკუთრებით ვსთხოვ გაზ. „მშაკის“ პატივცემულ რედაქციას, ჩემს გულითად კეთილ-მდომლებს, ჩემს თვალის-ჩინ მეუღლეს და შვილებს, ეცადნენ და სიტყვა-სიტყვით შეასრულონ ჩემი ნათქვამი და თხოვნა.

მშვიდობით იყავით, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო სოფიოჯან.

მშვიდობით, ძვირფასო შვილებო, მშვიდობით, საყვარელო მეგობრებო. მშვიდობით, საყვარელო ადამიანებო, რომელ ეროვნებისა, ტომის და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ, მშვიდობით, საყვარელო ტფილისო, მშვიდობით ჩემო საყვარელო და სალოცავო ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს. ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს.

მშვიდობით იყავით. გაბრიელ სუნდუკიანც—ჰამმალ 14 აგვისტოს 1911 წ. ბორჯომი“.

ნუ თუ ეს ანდერძი მთელი პოეზია არ არის და რას გვიქადაგებს ეს ანდერძი, თუ არა დამახინჯებულ ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებას და ახალ გზის, ახალ ცხოვრების პოვნას. ძეგლს ნუ დამიდგამთო, არამედ ძეგლი პეპოს დაუდგითო, ხელში არუთინას ბარათი ეჭიროსო, ესე იგი ძეგლი დაუდგით მშრომელ მრავალ ტანჯულ ხალხს, რომელიც პროტესტს უცხადებდეს მძარცველებს, უსინდისო ადამიანებს, რომელთაც დაივიწყებიათ სიმართლე, პატიოსნობა და რომელნიც თავიანთ საკეთილდღეოდ ჰყვლეფენ და ჰგლეჯენ მშრომელ ხალხს და ამგვარად შეძლებას იძენენ.

მიუხედავად ძლიერ მოხუცებულობისა მან ამ ბოლო წლებში დასწერა კიდევ ორი ახალი პიესა, 1) „სიყვარული და თავისუფლება“ და 2) „ანდერძი“. პირველი მისივე დახმარებით სთარგმნა ქართულად იოსებ იმედაშვილმა, მეორე კი ჯერ არ იყო დამთავრებული.

მის სიკვდილით დიდი და შეუდარებელი დანაკლისი მოუვიდა სომხურ ლიტერატურას, განსაკუთრებით დრამატურგიას, რომელმაც დაჰკარგა კლასიკური შემთხზავი.

დიდი ხანი გასტანს ჯერ ვიდრე დაიბადებოდეს ზიმზიმოვის, პეპოს, ოსეფას და მრავალ ამ გვარ ტიპების დამსურათებელი და შემქმნელი. უღრმესი პატივის ცემა დიდ მოხუცის ნაშთებს.

ა. გასპარიანი.

---

*) „ჰამალის მასლაათები“, რომელიც განსვენებულმა ამ ბოლო დროს ცალკე წიგნად გამოსცა. ეს მასლაათები მოთავსებული იყო გაზ. „მშაკის“ სხვა და სხვა ნომრებში, ამ უკანასკნელის არსებობის 10 წლის განმავლობაში. „მასლაათები“ დაწერილია სომხურ ენის ტფილისის დიალექტზე. შ. ა.

კიდევ ჩემს „მოპოლემიკეებს“.

პატიოსან მტერთა შორის
სინდისია მოციქულიო.
(ხალხური ანდაზა).

ჩემი უკანასკნელი წერილი („ხმაუდანაშაულოდ დასჯილისა“) უკვე გაგზავნილი მქონდა გაზეთში დასაბეჭდად, როცა წავიკითხე „სახალხო გაზეთში“. ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ჩემდა მიმართული „პასუხის მაგიერი“...

დიაღ, რომ „პასუხის მაგიერის“ მეტი არა დაერქმევა-რამ ღირს-შესანიშნავ ნაწარმოებს, რადგან შიგ ახალ უსაბუთო ცილისწამების მეტი არა მოიპოვება რა...

ბ-ნი გოგებაშვილი ბრძანებს, „თუნდ ოთხი საკითხი დავუყენე“ ჟორდანიას და ამ საკითხზე პასუხის მიცემის მაგიერ მან „ჯანყ-ბურუსი დააყენაო“...

თუ რამდენად სამართლიანია და კეთილსინდისიერი ეს სიტყვები, ეს თვით მკითხველმა საჯოს: გადაიკითხეთ, ბატონებო, თავიდან ბოლომდე იაკობის წერილი („სახალხო გაზეთი“, № 526) და თუ შიგ ორი (და არა ოთხი) უმნიშვნელო საკითხის მეტი ამოიკითხოთ, რაც გენებოთ ისა ბრძანეთ ჩემზე... და ის ორი საკითხიც, ვიმეორებ, ყოვლად უმნიშვნელო და ჩვენის პოლემიკისთვის სრულიად ინტერეს მოკლებულია... ყოველ შემთხვევაში, ჩემს უკანასკნელს წერილში ნათელ-ვყავი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთ-ერთს ასეთს შეკითხვას ბ-ნ გოგებაშვილისას—იმ შეკითხვას, რომელსაც იგი ამყარებს დეკანოზ ერმოლოზ კანდელაკის-მიერ გაზეთში დაბეჭდილ წერილზე... სასაცილო და მარტო სასაცილო ასეთი არგუმენტები“! მუცელზე ხელი უნდა მოიკიდო და ისე გადიკითხო ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ „ვათამაშებდი“ მე კიდევ ხელში „რაღაც ქაღალდს“, რომელიც საბჭოს წევრებს საიმპერიო მეთვალყურის ბრძანება ეგონათ!!“ აბა, ღირს, მკითხველო, ამისთანა „ბრალდებაზე“ სერიოზულ პასუხის მიცემა?!..

რაც შეეხება მეორე საკითხს: ჩუმად შევიტანე თუ არა ხსენებული წინადადება საბჭოში—ამაზედაც ზედმეტად მიმაჩნდა პასუხის გაცემა, მაგრამ, რაკი მოისურვეთ, ინებეთ—პასუხის მაგიერ მოგახსენებთ: თუ თქვენ გაინტერესებთ ჩემი და საიმპერიო მეთვალყურის განწყობილება და, საზოგადოდ, ჩემი „კეთილსაიმედობა“ მთავრობის თვალში, შეიტყვეთ: „ჩემი სამსახურიდან გასვლა იძულებითი იყო“... განმარტება ვგონებ მეტია...

არ მინდოდა, ბარემ, სულაც გაზეთში წერა ჩემის უკანასკნელის წერილის შემდეგ, ყოვლად-სამღვდელო დავითის მსჯავრის გამოქვეყნებამდე, მაგრამ რა გაეწყობა! როცა საქმე ისეთ „ბრალმდებლებთანა“ გაქვსთ, რომლებიც მაინც-და-მაინც უკანასკნელ სიტყვას თავისთვის ჩემულობენ, ძალა-უნებურად დაილაპარაკებ, იტყვი: კაცო! ეს სადაური სამართალია?! ოფიციალურ სასამართლოშიაც კი უკანასკნელი სიტყვა ბრალდებულს ეკუთვნის და თქვენ რაღა დაგემართათ?! ოღონდ კი ჩემს წერილს შთაბეჭდილება გაუქარწყლოთ როგორმე და ამ საანბანო სამართლის მოთხოვნილებასაც კი ივიწყებთ...

თქვენ მე განსაზღვრული ბრალი დამდეთ! უკანასკნელი სიტყვა მე მათქმევინეთ, რა დაგემართათ!! რათა ჩემულობთ მაინც-და-მაინც უდავო უფლებას ყოველ ბრალდებულსას?! განა რომ იმიტომ, რომ მტყუანის კარებამდის მიგიყვანეთ, მაგრა მიგამწყვდიეთ, იქა, თქვენ-კი გინდათ გასაძრომი ხვრელი სადმე ნახოთ და ამისთვის მართლა რომ ისეთს „ჯანყსა და ბურუსს აყენებთ“, რომ ერთ წუთს ავიწყებთ მკითხველს იმ არა სასიამოვნო მდგომარეობას, რომელშიაც ჩაგაგდეს თქვენ ჩემმა წერილებმა—თქვენის პირითვე აღიარებულს თქვენსავე სიცრუეს...

თ. ჟორდანია.

(დასასრული იქნება)

„სახალხო გაზეთის“ მიერ

ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეს
გამო მიღებულ

ფულის ანგარიში

ხონიდგან—წ. კ. ს. განყოფილების საქმის მწარმოებელ ბ. ბახტაძისაგან დეპეშით გამოგზავნილი (იყო გამოცხადებული „სახ. გაზ“ № 507) 40 მ.

ცრემლები დაჰღვარა, როცა იძულებული გახდა თავისი მჭერმეტყველობისთვის პირველი ჰონორარი აეღო.

ყველაზე საყურადღებო და ისტორიულად მნიშვნელოვანი კი ის გარემოება იყო, რომ დროთა განმავლობაში დაძაბუნდა და გადაგვარდა თვით ის განათლების პოპულარული ფილოსოფია, რომლის მატარებლად სოფისტები გამოვიდნენ. პროტაგორასი, და გორგიასი პროდიკოსი და სხ. ყველასგან პატივცემულ მოძღვარებად ითვლებოდნენ. ის მრავალრიცხოვანი და მრავალ-ფეროვანი რაზმი კი, მათ რომ მოჰყვა მეხუთე საუკუნის დასასრულს, უმეტეს ნაწილად მართლაც მახინჯ და საეჭვო პირებისაგან შესდგებოდა. ამ ყოველს რწმენას მოკლებული ადამიანების ხელში ფილოსოფიამ დაჰკარგა უანგარო და კეთილშობილი კვლევა-ძიების ხასიათი და უბრალო ოსტატობამდე ჩამოქვეითდა. მეცნიერების ადგილი ფრაზეოლოგიამ დაიჭირა, მჭერმეტყველობის ადგილი ერისტიკამ. ეს უკანასკნელი კი ის ხელოვნებაა, რომლის შემწეობით მოწინააღმდეგეს სილოგიზმების ხერხიანად მოგონილს ქსელში აბამენ, რათა სიტყვებით დააჯერონ იქ, სადაც შინაგანი დარწმუნება შეუძლებელია.

—

ყველაზედ მნიშვნელოვანი სოფისტებს შორის **პროტაგორასია**. ის აბდერაში დაიბადა დაახლოვებით 481 წ. და მაშასადამე დემოკრიტოსის თანამემამულედ და უფროსს თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს. ოცდა ათის წლისა იყო, როცა „სიბრძნის მასწავლებელი“ გახდა და მოგზაურობა დაიწყო. სიმწიფის ხანა უმეტეს ნაწილად ათინაში გაატარა, სადაც მას ხალხი, განსაკუთრებით პერიკლესის წრე, დიდად აფასებდა. ეს დაფასება და ნდობა სხვათა შორის იმაში გამოიხატა, რომ პერიკლესმა მას ათინის ერთი ახალშენისთვის კანონების დაწერა მიანდო.

მაგრამ ათინას დემოსის გრძნობა ცვალებადი იყო და ეს ცვალებადობა აბდერელმა სოფისტმა მწვავედ განიცადა თავის თავზე. მოხუცებულობაში მან სხვათა შორის დასწერა წიგნი „ღმერთების შესახებ“. რამდენიმე გულმოდგინე მამულიშვილმა ამ წიგნში ათეიზმი აღმოაჩინა, ხოლო სასამართლომ გადასწყვიტა მისი საჯაროდ დაწვა. ეს იყო პირველი „აუტოდაფე“ საბერძნეთის ისტორიაში. ზედმეტი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად პროტაგორასმა მიატოვა ათინა და სიცილიისკენ გაემართა, მაგრამ ზღვაზე ქარიშხალმა მოუსწრო და დაჰღუპა (411 წელ. ქრ. შ.).

თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში, ლექციებში და საჯარო სიტყვებში პროტაგორასი ეხებოდა თითქმის ყველა დარგს ადამიანური კულტურისას: სარწმუნოებას, ენას, უფლებას, პოლიტიკას, აღზრდის პრობლემას, მჭერმეტყველების ხელოვნებას მორალს და სხ. „ენის სისწორე“ მეცნიერულს პრობლემად საბერძნეთში პირველად პროტაგორასმა აღიარა და გრამმატიკა სწავლა-აღზრდაში მან შეიტანა. მის ფილოლოგიურს გამოკვლევათ საფუძვლად რაციონალისტური თეორია ედო, რომლის მიხედვით ენა გონების და რეფლექციის მიერ შექმნილი იარაღია, აზრთა გადასაცემად მოგონილი. ის პირველად არჩევს ზმნათა მიმოხვრის კანონებს და წინადადებათ ოთხს სხვა და სხვა ფორმად ჰყოფს (სურვილის, კითხვის, პასუხის და ბრძანების გამომხატველი წინადადებანი).

პედაგოგიკაში ის თეორიის და პრაქტიკის ჰარმონიულად შეკავშირებას ითხოვს: „თეორია პრაქტიკული ვარჯიშობის გარეშე ისევე უნაყოფოა, როგორც პრაქტიკა უთეოროდ“. უფლების ფილოსოფიაში კი ჩვენი სოფისტი კაი ერთი პირველ დამცველთაგანია ეგრედ წოდებულ „დაშინების თეორიისა“, რომელსაც ის „შურისძიების თეორიას“ უწინააღმდეგებს: სისხლის სამართლის მიზანი არის არა სამაგიეროს გადახდა, არა შურისძიება, არამედ დამნაშავის დაშინება.

ამ სპეციალურ გამოკვლევათ სარჩულად განსაზღვრული ფილოსოფიური რწმენა უძევს. ამ რწმენას ჩვენ შეგვიძლიან უწინარეს ყოვლისა სუბიექტივიზმი და რელატივიზმი ვუწოდოთ. საგნებს არა აქვთ აბსოლიტიური, უცვლელი სუბიექტისგან დამოუკიდებელი თვისებანი: „ადამიანი არის საზომი ყოველ ნივთითა—არსებულისა რომ ისინი არსებობენ და არ არსებულისა, რომ ისინი არ არსებობენ“. კიდევ მეტი: ადამიანი საზომია აგრეთვე იმისაც თუ **როგორ** არსებობს საგანი; ჯანსაღს სუბიექტს თაფლი ტკბილად ეჩვენება, „ყვითელი სენით“ შეპყრობილს მწარედ: აბსოლუტურად კი თაფლი არც მწარეა და არც ტკბილი, ანუ უკედ ესთქვათ ჩვენ არ ვიცით როგორია ის თავის თავად, შემთვისებელი სუბიექტის დამოუკიდებლად.

ამ უკანასკნელს დებულებაში ნათლად გამოსჭვივის პროტაგორასის სკეპტიციზმი. მუდმივი ჭეშმარიტების მიღწევა შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული ადამიანური შემეცნება. ღმერთების შესახებ არაფრის თქმა შემიძლია, ამბობს ჩვენი ფილოსოფოსი, არც იმის, რომ ისინი არსებობენ, არც იმის რომ ისინი არ არსებობენ; მიტომ რომ ამის ცოდნას ბევრი რამ უშლის ხელს; უწინარეს ყოვლისა თვით საკითხის სიბნელე და ადამიანის ცხოვრების სიმოკლე“.

ჩვენ შეგვიძლიან ჭეშმარიტების საზომით გავზომოთ მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ, ვისმენთ და ვეხებით. ჩვენი შემეცნება წარმოშობით ემპირიულის ხასიათისაა. თვით გეომეტრიული დეფინიციები, აქსიომები და ტეორემები გამოცდილებაზე არიან დამყარებულნი, ისინი გრძნეულის სინამდვილის აბსტრაქციას წარმოადგენენ. ეს აზრი მეტის მეტად საყურადღებოა; აქ ჯერ კიდევ გაურკვევლად გამოითქვა ის შეხედულება მათემატიკურს ჭეშმარიტებაზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში მილლმა, რიმანნმა და ჰელმჰოლცმა განავითარა. ამ უკანასკნელთა რწმენის მიხედვით გეომეტრიულს აქსიომებს მხოლოდ ჩვენს სამდიმენსიონალურს სივრცეში აქვს გარდაუვალი, შეურყეველი ჭეშმარიტების ხასიათი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არა თუ ლოგიურად განვისაზროთ, არამედ კიდევ წარმოვიდგინოთ ისეთი სივრცე (ეგრედ წოდებული სფერიული და ფსევდოსფერიული), სადაც ევკლიდის თორმეტი აქსიომიდან უმრავლესობა ჰკარგავს მნიშვნელობას და სადაც მაგალითად უმოკლესი გზა ორ წერტილს შუა პირდაპირი ხაზი აღარ არის. ეს შეხედულება სრულს წინააღმდეგობაში იმყოფება კანტს და რაციონალისტების ფილოსოფიასთან, რომლის მიხედვით მათემატიკური ჭეშმარიტებანი აპრიორული ხასიათისა არიან და აბსოლუტურს ჭეშმარიტებას წარმოადგენენ ყველგან და ყოველთვის სადაც შეგნება არსებობს.

მეორე გამოჩენილმა სოფისტმა ლეონტინოელმა **გეორგიასმა** აღზარდა და ისაზრდოვა სკეპტიციზმის და სუბიექტივიზმის თესლი, რომელიც პროტაგორასმა უხვად გააბნია საბერძნეთის ნიადაგზე. მისი უმთავრესი თხზულება ეხებოდა „ბუნებას ანუ არ ყოფნას.“ ამ უცნაურს წიგნში გორგიასი სამს შემდეგს დებულებას იცავდა: 1) ყოფნა არ არსებობს. 2) რომც არსებობდეს მისი შემეცნება მაინც შეუძლებელი იქნებოდა. 3) რომ კიდეც არსებობდეს და მისი შემეცნებაც შეიძლებოდეს, შეუძლებელი იქნებოდა ამ შემეცნების სხვებზე გადაცემა. ის არგუმენტაცია, რომლითაც ლეონტინოელი სოფისტი ამ სამს თეზისს იცავდა, დღეს ჩვენზე მხოლოდ გონება მახვილი დიალექტიური ვარჯიშობის შთაბეჭდილებას ახდენს. თანამედროვეებზე კი მისი გავლენა ბევრად უფრო ძლიერი იყო: გორგიასი არაჩვეულებრივი ორატორი იყო, ის სამართლიანად ბერძნული ხელოვნური პროზის ერთს დამაარსებელთაგანად ითვლება და ეჭვი არ არის მის პიროვნებას, მის მჭერმეტყველებას ბრბოს თვალში მეტი დამაჯერებელი ძალა ექმნებოდა, ვიდრე მის პარადოქსალურს აზროვნებას.

იგივე ითქმის მესამე სოფისტს **ჰეგეხიასზე**, რომელსაც თანამედროვეებმა „სიკვდილის ვექილი“ უწოდეს, მიტომ რომ თავისი მჭერმეტყველობით მან არა ერთი და ორი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. უდიდესი ზნეობრივი სიკეთე მისი აზრით სიამოვნებაა; შეურყეველი სიამოვნების მიღწევა კი ამ ქვეყნად შეუძლებელია; მაშასადამე სჯობს ხელის აღება ამქვეყნიურს არსებობაზე. ამ მორალურს რეფლექსიაში უკვე ნათლად სჩანს სიამოვნებას მოჭარბებული, გადაგვარების გზაზე დამდგარი საზოგადოების პესიმიზმი.

ასეთისავე პესიმიზმს ვხედავთ კეოსელ **პროდიკოსის** აზროვნებაში. მისი შეხედულებით ცხოვრებაში ბოროტების ჯამი სჭარბობს სიკეთისას. ახლად დაბადებული ბავში ცხოვრებას ტირილით იწყებს და ტირილითვე ისტუმრებს, როცა მეორე ბავშობა, მოხუცებულობა მოდის. სიკვდილი გულქვა კრედიტორია, რომელიც თავის მევალეებს თან და თან ყოველს სამკაულს აცლის ხელებიდან: დღეს სმენას, ხვალ მხედველობას, ზეგ მოძრაობას. მაგრამ ადამიანი მაინც გულადად უნდა შეჰხვდეს მას. არა რეზიგნაცია და ასკეტური უკუქცევა ცხოვრებიდან, არა სიტკბოების ფიალის დაწაფება, არამედ შრომა, ბუნებრიობა და უბრალოება უნდა შეადგენდეს როგორც პიროვნების ისე საზოგადოების ლტოლვის მიზანს.

გერონტი ქიქოძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედიიდან—წ. კ. ს. განყოფილების წარმოდგენების მმართველ სექციისაგან დადგმულ წარმოდგენიდან (დაწვრ. ანგ. იხ. „სახ. გაზ“. № 512) 29 მ. 95 კ.

თელავიდან—საიუბილეო წარმოდგენიდან დარჩენილი ფული გამოგზავნილი ალ. დ. ციციშვილისაგან (დაწვრ. ანგ. იხ. „სახ. გაზ.“ 520) 95 მ. 10 კ.

ოზურგეთიდან—გამართულ წარმოდგენიდან დარჩენილი ფული, გამოგზავნილი ბ. ვ. ს. ხუნდაძისაგან (დაწვრ. ანგ. იხ. „სახ. გაზ.“ № 547) 40 მ. 78 კ. სულ 205 მ. 83 კ.

ყველა აღნიშნული ფული სხვა და სხვა დროს გადაეცა, თანახმად ქ-ნ მარიამ საფაროვ-აბაშიძის განცხადებისა—მის ძმას ბ. შაქრო საფაროვს.

ზემო აღნიშნულ ფულების გარდა მიღებულია ახალციხიდან ბ. კ. გვარამაძისაგან შეკრებილი 41 მ. 37 კ. (დაწვრ. ანგ. იხ. „სახ. გაზ.“ № 510), რომელიც თანახმად გამომგზავნელთა სურვილისა გადაეცა საიუბილეო კომიტეტს ქ. ანასტასია მაჩაბლის ხელით.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

ტოკიო. პეკინიდან ჩამოსული იაპონიის ელჩი იზუინი ამბობს, იაპონიას ბევრ ხათაბალას გადაჰკიდებს რესპუბლიკის მეზობლობაო. ელჩის აზრით, თუ იუნშიკაიმ გამწვავებული მდგომარეობა ვერ მოაგვარა, ჩინეთი შეიძლება მონარქიას დაუბრუნდესო.

კულჯა. მონგოლებმა უარი უთხრეს ახალ მთავრობას, ოთხას ცხენოსანს ვერ გამოვიყვანთო. მონგოლები რესპუბლიკელთაგან დასაცავად თავის პოლკებს შეადგენს.

პეკინი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქუანსინი ნანკინის ნამესტნიკად გაამწესა და დაუქვემდებარა სამხრეთის პროვინციები. გენერალ სუიშაოჩენი მთავარ შტაბის უფროსად დანიშნეს. ჩატილის პროვინციაში ქალაქ ქეძიანფუში სამხედროთა არეულობა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

მეშჰედი. ამ ბოლო დროებში ბესტში ჩამსხდარმა 700 კარგად შეიარაღებულმა ყაჩაღმა, რომელთაც ავღანელი იუსუფ-აღა ჰყავდათ ბელადად, რუსის ჯარისადმი უდიერი მოქცევა გამოიჩინა, აქაურებს იჭერდა, სძარცვავდა და ჰხოცავდა, ასე რომ, ხალხი უკმაყოფილო იყო, რუსებმა ქალაქი აიღესო და მშვიდობიანობა ვერ დაუმყარებიათო. ამის გამო რუსის უფროსმა კონსულმა ბესტის გამგე მუშტეიდებს მოსთხოვა ყაჩაღების გაცემა, იარაღის აყრა და ქალაქიდან განდევნა. მოთხოვნილების არ ასრულების გამო ბესტს 17 მარტს რუსის ჯარი შემოერტყა გარსა, როდესაც გენერალმა როდკომ წინდაწინვე წინადადება მისცა ყაჩაღებს, დაგვნებდითო, მათ სროლა ასტეხეს. მაშინ რუსის ჯარმა არტილერიას მიჰმართა. ბესტი აიღეს, იმამ რიზას წმ. ნაშთისათვის ხელი არ უხლიათ. ყაჩაღები თანდათან ჰმორჩილდებიან რუსის ჯარსა.

თავრიზი. შუჯა-უდ-დოულეს საპეხდარისაგან დეპეშა მოუვიდა, ადერბეიჯნის გენერალ-გუბერნატორად მე გამამწესესო. ხალხი ძალიან შეაფიქრიანა ამ ამბავმა. ქადადანსა და სენეს შუა მუჯლილ-უს-სალტანემ 200 ქურთით კორვე აიღო. სალარ-უდ-დოულემ მეჰავენდი აიღო. ქამადანის ხანები მთავრობის წინადადებით მცველთა რაზმს ადგენენ.

ქოი. ჩრდილოეთ - დასავლეთის ადერბეიჯანს მყოფ რუსის ჯარის უფროსი გენერალი ვოროპანოვი და სამხედრო მოსამართლე დოლგინსკი ოსმალეთის კონსულთან იყვნენ. მანაც ვიზიტი გადაუხადა. ოსმალებთან ურთიერთობა მეგობრულია.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

ტობრუკი. 18 მარტს 3000 ოსმალი იტალიელთა ახლად აგებულ სიმაგრეს დაესხა თავსა, მაგრამ ზარბაზნით უკუ-აქციეს.

ბენგაზი. აქაურ მხედართა ესკადრონს ჩასაფრული ბედუინები დაესხნენ თავსა. ცხარე ბრძოლის შემდეგ ბედუინები დიდად დაზარალებულნი დაიფრინეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

20 მარტი.

იტალია და რუსეთი.

რომი. „ტრიბუნაში“ დაბეჭდილია დიდი წერილი რუსეთისა და იტალიის დამეგობრების თაობაზე. ოსმალეთის ომმა დაგვიმტკიცაო, სწერს გაზეთი, რომ რუსეთს-ოსმალეთში სავაჭრო ინტერესები არა აქვს, იტალიამ უნდა ყურადღება მიაქციოს და საპოლიტიკო მდგომარეობით ისარგებლოსო.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. ესკიშეხრის ოლქში არჩევნებზე მომხდარ არეულობის გამო ბევრი დააპატიმრეს, სტამბოლს ჩამოიყვანეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს საქმე.

ავსტრია-ჰუნგრეთი.

ბუქარესტი. სამინისტროს ბედი აღდგომას შემდეგ გამოირკვევა. მინისტრ - პრეზიდენტად ხელმეორედ ასახელებენ მაიორესკს.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. დეპუტატების ადგილები და ქანდარა სავსეა. კუენჰედერვარმა განაცხადა, მეფეს ძალიან აფიქრებს რეზერვისტების შესახები რეზოლუციაო. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, დროებით ხელი აიღოს რეზოლუციაო. თუმცა ჰუნგრელთა თვალთსაზრისი არ შეცვლილაო. ანდრაშიმ მოიწონა სამინისტროს მოქმედება და სთქვა, სამინისტრო სხვანაირად ვერც მოიქცეოდაო.

დეპუტატმა ჰოლლომ მთავრობას უსაყვედურა, ხალხს მეფის გვარეულობის შეცვლით აშინებთო. კოშუტის პარტიის წარმომადგენელმა აპონიიმ განაცხადა, მეფის გადადგომა ყველა მადიარს დაალონებს, თუმცა მაინც საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე არა კონსტიტუციონურად დაიწყებს მართვა-გამგეობასაო.

გაფიცვა

კლივლენდი. ამაღამ მაღაროს 400 ათასი მუშა უნდა გაიფიცოს.

რუსეთი

დამშეულთათვის შეწირულობა.

მოსკოვი. დამშეულთათვის ფულის მოსაგროვებლად დანიშნულ დღეს შეუგროვებიათ 212,035 მან. და 40 კაპ.

გაზეთების აკრძალვა.

პეტერბურგი. გასასყიდად აკრძალეს გაზეთ „გროზას“, „ზვეზდას„ და „ნოვაია ვეჩერნიას“ 18 მარტის ნომრები. პირველი რედაქტორი სამართალში მისცეს ას მესამე მუხლის ძალით, მეორე ას ოც და მეცხრისა, ხოლო მესამე 1001 მუხლითა.

რედაქტორ-გამომცემელი

ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფუთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრით, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-თეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—65—39)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
„გიორგის შრომა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ცალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: სადგ. გომი ამიერ კავკ. რკ. გზა) გიორ. ბეჟან. ტატიშვილს. (თ.—1145—10

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. —074.40)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.
(თ. 1646.3)

თევზით
ვაჭრობა
სპირიდონ ლავრენტის
ძე ხუროშვილისა

სალდ. ბაზარში. ყოველთვის იშოვება ჩვენს მაღაზიაში და საწყობში ახალ-ახალი ორაგული, ზუთხი, თართი, ლოქო, კეფალია ტაბაკა თევზი—(კამბულა) ფარგა, კომრის (გოჯა) და სხვანი.

— მუდამ იშოვება —

ხიზილალა ქვირითი, წითელი ხიზილალა და ბოჩკის ხიზილალა, გირვანქა 1 მანეთიდან.

ზურგიელი დონისა და ადგილობრივი.

— დოში —

ცოცხალი თევზი:
ლოქო, მურწა, ფიჩხული და სხვანი.
ტფილისი,
ტელეფ. № 496. (10—1156—7)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.
(25—285—11)

ყოველ-დღე
მოგვდის:

ახალ-ახალი შავი ხიზილალა 2 მ. 60 კ. გირ. ბოჩკას ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—20)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37—66.2)

ბაღოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა სად. სკრაში

კავკ. რკ. გზ. ჰგზავნის ხეხილის ნერგებს საზღვარ-გარეთულს, რუსულ, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.

ფირმა დაჯილდოვებულია ვერცხლის დიდ მენდლით 1911 წ. მოსკოვში ამართულ სრულიად რუსეთის ბაღოსნობის მოყვარეთა საზოგადოებისა საიუბილეო გამოფენაზე. და ოქროს დიდ მენდლით ტფილისში პირველ მორიგ ხილის ბაზარ-გამოფენაზე. (6—1120—6)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-
-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—4 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинский прос п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; სამტრედიაში—ივანე გლადკოვთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, დ. ხონში—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, ოზურგეთში—ლეო იმნაძესთან, თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, გორში ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში ბ. ამბოქაძესთან და ერევანში კ. ოჯაშარიასთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე-
(წ.—627—46 წ.) გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

არსებობს ბევრი
მოლაპარაკე მანქანა მაგრამ
ГРАММОФОНЪ
„ამური“
ერთად-ერთი ნამდვილი მანქანა.
გრამოფონის სყიდვის დროს მოიკითხეთ
მთელ დედამიწის ზურგზე საუკეთესო
გრამოფონის ფირფიტები
„მწერავი ამური“
ყოვლად გაუმჯობესებული, უკანასკნელ ხელოვნურად გადაღებულ ქართველ მომღერალთა ჰანგებით.
ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.
ტფილისი
გოლოვინის პროსპექტი, 9.
„ორიანტის“ სასტუმროს ქვეშ.
(3—1151 3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.